ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

ო ქ მ ი N7

სხდომის ჩატარების დრო:

3 თებერვალი, 2023 წელი

სხდომის ჩატარების ადგილი:

რუსთაველის გამზირი N3.
ადგილობრივი თვითმმართველობის
შენობაში არსებული სხდომათა დარბაზი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე მეშვიდე სხდომას თავმჯდომარეობდა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია.

ესწრებოდნენ: საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე: ბატონი გ.ბასილაძე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები, ბატონები: თ.ნადირაძე და ტ.ლილუაშვილი, საკრებულოს წევრები: დ.მხეიძე, მ.ჩიხლაძე, ბ.მახარაძე, მ.ნიჟარაძე, ჯ.ბიბილეიშვილი, მ.ჭოხონელიძე, მ.სიმონიძე, ბ.ხამაშურიძე, ბ.ქებულაძე, თ.ჯუღელი, ზ.მამასახლისი, მ.რიჟამაძე, ა.კოპალეიშვილი, მ.კოსტავა, ე.არჩაია.

სულ: 34 წევრიდან - 19 წევრი

არ ესწრებოდნენ: საკრებულოს წევრები: გრ.შუშანია, გ.კილაძე, ხ.არველაძე, ლ.შალამბერიძე, ნ.ბიბილეიშვილი, დ.ბახტაძე, გ.მანაგაძე, ქ.ხურციძე, კ.გაბუნია, რ.ქვაჩაკიძე, თ.მესხი, დ.ფხაკაძე, ა.კოხრეიძე, ნ.ჩიკვაშვილი, კ.გურული

სულ: 15 წევრი.

სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ: ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი, ბატონი ი.ხახალეიშვილი, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეები, ბატონი ი.უგულავა და ქალბატონი თ.დახუნდარიძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი, ბატონი ი.ჟორჟოლიანი, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - სამდივნო განყოფილების უფროსი, ქალბატონი ც.პატარიძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - ადმინისტრაციული განყოფილების უფროსი, ქალბატონი ნ.კაკაბაძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - იურიდიული განყოფილების უფროსი, ქალბატონი მ.სვინტრაძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - მედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი, ქალბატონი თ.მელქაძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - მოქალაქეთა მიღების, საქმისწარმოებისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი, ქალბატონი მ.ავალიანი, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის- ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის - იურიდიული განყოფილების ხელმძღვანელი, ბატონი ი.გიორგაძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი, ბატონი ვ.სილაგაძე, მერიის სამსახურებისა და საკრებულოს აპარატის სხვა პასუხისმგებელი მუშაკები, საინფორმაციო საშუალებათა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

სხდომა გახსნა **ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ.**

საკრებულოს მიმდინარე სხდომის დღის წესრიგის პროექტის წარმოდგენამდე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ბ.ქებულაძემ გააკეთა განცხადება:** „სულ ახლახან, ევროკომისიამ გამოაქვეყნა ანალიტიკური ანგარიში. დოკუმენტში შეფასებულია საქართველოს შესაძლებლობები ევროინტეგრაციის გზაზე. მკაფიოდაა აღწერილი საქართველოს მიმართ ევროკომისიის გზავნილები და ფუნდამენტური სფეროების შეფასების ნაწილში ხაზგასმულია, რომ საქართველო ლიდერობს შიდა ბაზრის კონკურენტუნარიანობისა და ინდუსტრიული ზრდის ჩამონათვალში. ვფიქრობ, რომ ევროკავშირის მიერ გაკეთებული ეს განაცხადი ჩვენი ქვეყნისთვის ნამდვილად სასარგებლო და პერსპექტიულია.“

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: **ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე მე-7 სხდომის დღის წესრიგის პროექტის შესახებ**

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ 2023 წლის 3 თებერვლის საკრებულოს ბიუროს სხდომის რეკომენდაციის გათვალისწინებით (**შეიცვალა საკრებულოს რიგგარეშე მე-7 სხდომის დღის წესრიგის პროექტის მე-2 და მე-3 საკითხებზე სამართლებრივი აქტების პროექტების წარმომდგენი პასუხისმგებელი პირი. ხსენებულ საკითხებზე სამართლებრივი აქტების პროექტების წარმომდგენ პირად, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის, ქალბატონ თინათინ ბერიშვილის ნაცვლად, განისაზღვრა ამ სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემრულებელი, ბატონი ვალერიან სილაგაძე**), ცვლილებით, წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე მე-7 სხდომის **დღის წესრიგის** შემდეგი პროექტი:

1. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცების, მერიის საჯარო მოსამსახურეთა და მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირების თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №24 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ბატონი იოსებ ხახალეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ბატონი ირაკლი გიორგაძე
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის
მეორადი სტრუქტურული ერთეულის - იურიდიული
განყოფილების ხელმძღვანელი

2. „ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის M_2 და M_3 კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებების მარშრუტებზე მგზავრობის ტარიფის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 მარტის №169 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ბატონი იოსებ ხახალეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ბატონი ვალერიან სილაგაძე
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების,
ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის
მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი

3. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „პარკინგსერვისისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 თებერვლის №149 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ბატონი იოსებ ხახალეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ბატონი ვალერიან სილაგაძე
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების,
ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის
მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი

წარმოდგენილი დღის წესრიგის პროექტის შესახებ საკრებულოს წევრთა მიერ მოსაზრებები არ გამოთქმულა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ საკრებულოს რიგგარეშე მე-7 სხდომის დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 19-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: გრ.შუშანია, გ.კილაძე, ხ.არველაძე, ლ.შალამბერიძე, ნ.ბიბილეიშვილი, დ.ბახტაძე, გ.მანაგაძე, ქ.ხურციძე, კ.გაბუნია, რ.ქვაჩაკიძე, თ.მესხი, დ.ფხაკაძე, ა.კოხრეიძე, ნ.ჩიკვაშვილი, კ.გურული.

ღია კენჭისყრით, ერთხმად, **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე მე-7 სხდომის **დღის წესრიგი** დამტკიცდეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის, **ირაკლი შენგელიას** მიერ ზემოთ წარმოდგენილი რედაქციით, ცვლილების გათვალისწინებით.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის პირველი საკითხის - **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცების, მერიის საჯარო მოსამსახურეთა და მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირების თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №24 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“**

ზემოაღნიშნულ საკითხზე **დადგენილების** პროექტი 2023 წლის 3 თებერვლის ბიუროს სხდომის რეკომენდაციის გათვალისწინებით **(დადგენილების №1 დანართის მე-9 პუნქტის (პირველადი სტრუქტურული ერთეული - სივრცის დაგეგმარების, ძეგლთა დაცვისა და სამშენებლო ნებართვების სამსახური) „გ“ ქვეპუნქტში გასწორდა მათემატიკური გაანგარიშებისას დაშვებული შეცდომა, კერძოდ, რიცხვი: „8“ , შეიცვალა რიცხვით: „6“; ამავე პუნქტის „დ“ ქვეპუნქტში რიცხვი: „3“, შეიცვალა რიცხვით: „2“; „ე“ ქვეპუნქტში რიცხვი: „7“, შეიცვალა რიცხვით: „10“),** ცვლილებით, წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი

სტრუქტურული ერთეულის-ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის - იურიდიული განყოფილების ხელმძღვანელმა, ბატონმა **ირაკლი გიორგაძემ.**

(დადგენილების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

დადგენილების პროექტის შესახებ საკრებულოს წევრთა მიერ მოსაზრებები არ გამოთქმულა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 19-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: გრ.შუშანია, გ.კილაძე, ხ.არველაძე, ლ.შალამბერიძე, ნ.ბიბილეიშვილი, დ.ბახტაძე, გ.მანაგაძე, ქ.ხურციძე, კ.გაბუნია, რ.ქვაჩაკიძე, თ.მესხი, დ.ფხაკაძე, ა.კოხრეიძე, ნ.ჩიკვაშვილი, კ.გურული.

ღია კენჭისყრით, ერთხმად, **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის პირველ საკითხზე მიღებულ იქნეს **დადგენილება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის - იურიდიული განყოფილების ხელმძღვანელის, **ირაკლი გიორგაძის** მიერ წარმოდგენილი რედაქციით, ცვლილების გათვალისწინებით.

ცვლილება იხილეთ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 3 თებერვლის **N57 დადგენილების** პროექტში.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცების, მერიის საჯარო მოსამსახურეთა და მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირების თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №24 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ **დადგენილება N57** ოქმს თან ერთვის)

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის მე-2 საკითხის - **„ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის M2 და**

M_3 კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებების მარშრუტებზე მგზავრობის ტარიფის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 მარტის №169 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

ზემოაღნიშნულ საკითხზე **დადგენილების** პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელმა, ბატონმა **ვალერიან სილაგაძემ.**

(დადგენილების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს, დაისვა შეკითხვები, გაკეთდა განმარტებები :

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი, ბატონი **ი.ხახალეიშვილი:** „მინდა აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით გავაკეთო განცხადება. მესმის, რომ ნებისმიერი სახის გაძვირება რთული თემაა, თუმცა, მინდა ვთქვა, რომ ქალაქში, სადაც ათწლეულები ველოდებოდით მუნიციპალურ ტრანსპორტს, ჩვენმა გუნდმა ეს მოახერხა და გააკეთა. დღეს გვაქვს განახლებული და სრულიად კომფორტული სატრანსპორტო კომპანია ავტობუსებითა და მიკროავტობუსებით. 30 ათასამდე ჩვენი მოქალაქე სარგებლობს სხვადასხვა სახის შეღავათით და მათ შორის, ნულოვანი გადასახადით. გვაქვს სატრანსპორტო პოლიტიკა, რომლის მიხედვითაც მიმდინარეობს ელექტრო ტაბლოების დამონტაჟება, ახალი სვლაგეზების შემუშავება, თუმცა, მინიმალური ზრდა გარდაუვალი აღმოჩნდა სიტუაციიდან გამომდინარე. თავიდან არსებობდა გარკვეული მონახაზი, მაგრამ ჩვენ მოვახერხეთ და შევამცირეთ მგზავრობის საფასურის ზრდა, რათა არ ყოფილიყო ჩვენი თანაქალაქელებისთვის მტკივნეული. მინდა გითხრათ, რომ ჩვენ ისევ ვაგრძელებთ მუშაობას ჩვენი ავტოპარკის განახლებასთან დაკავშირებით. ჩვენ ვაპირებთ თავიდან ბოლომდე ქალაქის სრულ დაფარვას ავტოპარკის სატრანსპორტო

საშუალებებით. ჩვენი თანაქალაქელები სულ მალე ნახავენ წინ გადადგმულ ნაბიჯებს სატრანსპორტო პოლიტიკის კიდევ უფრო განვითარებისა და განხორციელების საქმეში.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ქალბატონი **მ.სიმონიძე** (პოლიტიკური პარტია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ წევრი): „ზოგადად რთულია გაძვირება რასაც უკავშირდება, მაგრამ ალბათ, გარკვეული წინაპირობა არსებობდა. მაინტერესებს, რეალურად რა ჯდება ერთი მგზავრის გადაყვანა და რამდენით ვაფინანსებთ ანუ რამდენით ვახდენთ ბიუჯეტიდან სუბსიდირებას?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი, ბატონი **ი.ხახალეიშვილი**: „ჩვენი გათვლებით, ერთი მგზავრის გადაყვანა დაახლოებით ჯდება 1 ლარი და 20 თეთრი. თავდაპირველად, გათვლა იყო უფრო მაღალ ტარიფზე, მაგრამ შევძელით რაც შეიძლება უფრო ნაკლებად მტკივნეული ყოფილიყო ჩვენი მოქალაქეებისთვის და დამატებითი თანხები გამოვძებნეთ დოტაციისათვის. საბოლოოდ გამოდის, რომ ჩვენ ვაკეთებთ 60 თეთრის დოტაციას მუნიციპალური ტრანსპორტით მოსარგებლეთათვის.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის მოადგილე, ბატონი **დ.მხეიძე:** „ბატონო იოსებ, პირველ რიგში მინდა გითხრათ მადლობა, რომ ამდენი პოლემიკის შემდეგ შევჯერდით და დავადგინეთ ტარიფი, რომელიც უფრო ხელმისაწვდომი იქნება ჩვენი მოქალაქეებისთვის, მაგრამ მინდა შევეხო რამდენიმე საკითხს. არიან ადამიანები, რომლებიც არ არიან ინფორმირებულები ამ საკითხთან დაკავშირებით და შეიძლება გადახდის პროცესში შეექმნათ გარკვეული პრობლემები, ამიტომ, კარგი იქნება თუ რაღაც პერიოდის განმავლობაში შემოვიფარგლებით გაფრთხილებით და საჯარიმო სანქციები არ იქნება ხშირი. ზოგს შეიძლება მგზავრობის პროცესში არ აღმოაჩნდეს დამატებით ის 20 თეთრი, რომ დაამატოს მგზავრობის თანხას. საჯარიმო სანქციების შემოღების პერიოდში უმჯობესია ჯერ წავიდეს ინფორმაცია რამდენიმე თვის განმავლობაში, რათა ყველა იყოს ინფორმირებული სრულყოფილად.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, ბატონი **თ.ნადირაძე:** „დიდი ხანია მიდის მსჯელობა ტარიფებთან დაკავშირებით. რა

თქმა უნდა, არავის სიამოვნებს საუბარი გაძვირების თაობაზე, თუმცა, მოსახლეობის დიდი ნაწილი, რომელმაც იცის დღეს არსებული საბაზრო პოლიტიკა, არა მარტო ჩვენ ქვეყანაში, ალბათ, ამ ფაქტს შეხვდება გაგებით, მაგრამ იქნება მოსახლეობის ის ნაწილი, რომლის განაწყენებასაც გამოიწვევს ტარიფების მატება. განსაკუთრებით ვიცი, რომ გააქტიურდება ოპოზიციური ნაწილი. რადგან გაძვირება, რომელსაც იღებს სახელმწიფო, კარგი თემაა ადვილად სალაპარაკოდ და შენიშვნების მისაცემი, მაგრამ ეს რეალობიდანაა გამოწვეული. მე მექნება თხოვნა აღმასრულებელთან და ყველასთან, ვისაც ხელეწიფება, რომ სხვადსხვა საინფორმაციო საშუალებებით რამდენჯერმე გაჟღერდეს აღნიშნული საკითხი, კონკრეტულად თუ რა იყო გაძვირების მიზეზი. 4-5 მილიონი მაინც ბიუჯეტიდან უნდა გავიდეს და სწორად მივიტანოთ ინფორმაცია მოქალაქეებამდე.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი, ბატონი **ი.ხახალეიშვილი:** „რაც შეეხება სარეკლამო კამპანიას. გადაწყვეტილების მიღებიდან 7-10 დღე გვჭირდება იმისათვის, რომ ტექნიკურად ეს იქნეს გამართული პროცედურა. ეს პერიოდი გამოყენებული იქნება იმისთვის, რომ სხვადასხვა საშუალებებით ჩვენ მოქალაქეებს მიეწოდოთ ინფორმაცია და ახსნილი იყოს ის რეალობა, რამაც ჩვენ მიგვიყვანა ამ გადაწყვეტილებამდე. ტრანსპორტი დღეს ქალაქში ბევრად უფრო გამართულად მუშაობს, ვიდრე ეს იყო ერთი წლის წინ. ბევრი გამოწვევაა, ამას არც არავინ უარყოფს, მაგრამ ის რაც დავიწყეთ, ძალიან წარმატებულია და შევეცდებით, იყოს მორგებული ჩვენს მოქალაქეებზე.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის მოადგილე, ბატონი **დ.მხეიძე:** „მე ვიცი, რომ თქვენ მომავალში კიდევ გეგმავთ შეღავათების გაკეთებას მგზავრებისათვის და კარგი იქნება თუ გავითვალისწინებთ სკოლის მოსწავლეებს. გუშინ გვქონდა ამ საკითხთან დაკავშირებით საუბარი და უმეტესი წილი, მგზავრობის საფასურის არ /ან ვერ გადამხდელებისა, მოდის სკოლის მოსწავლეებზე და ისინი ამის გამო კანონითაც ვერ ისჯებიან. კანონში, როგორც ვიცი, არის მუხლი, რომლითაც ამ დანაშაულზე შეიძლება პასუხი აგოს მშობელმა ან თანმხლებმა პირმა. თუ ბავშვი ვერ იხდის გადასახადს და თანხა მაინც არ შემოდის, ხომ არ ვიფიქროთ იმაზე, რომ არ მოვახდინოთ დანაშაულის წახალისება და უბრალოდ, გავათავისუფლოთ ისინი მგზავრობის გადასახადისაგან?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი, ბატონი **ი.ხახალეიშვილი:** „ჩვენ გადავხედავთ სატარიფო პოლიტიკას, ვიმსჯელებთ გუნდთან ერთად და განვიხილავთ რისი გაკეთება შეგვიძლია ამ მიმართულებით.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე, ბატონი **ბ.მახარაძე:** „როგორც ვიცი, შეღავათით სარგებლობს 30000 პირი. ხომ არ შეხებია ეს ცვლილება ამ საშეღავათო პირობებით მოსარგებლეებს, ხომ დარჩა ისევ ის საშეღავათო პირობები მათთვის?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი, ბატონი **ი.ხახალეიშვილი:** „საბაზო მონაცემებში ვინც იყო და ეხებოდა შეღავათი, მნიშვნელობა არ აქვს ტარიფის რაოდენობას, ავტომატურად გადადის იგივე საშეღავათო რეჟიმში. მინდა შეგახსენოთ, რომ ჩვენი მოქალაქეების გარდა, იგივე საშეღავათო პირობებით სარგებლობენ ჩვენი უკრაინელი მეგობრები, რომლებიც იმყოფებიან ჩვენს ქალაქში. სატრანსპორტო ტარიფის ცვლილება არანაირად არ შეეხება იმ ჯგუფს, რომელსაც თავიდანვე ჰქონდა დაწესებული შეღავათი.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ბატონი **მ.რიჟამაძე:** „მეც და მოსახლეობასაც გვაინტერესებს შიდა სვლაგეზები. გუშინაც მქონდა საუბარი და კონკრეტულად უკმაყოფილებას გამოთქვამენ სულხან-საბას დასახლების მაცხოვრებლები. როგორც მოგეხსენებათ, ამ დასახლებაში კერძო სუბიექტები უკვე აღარ შედიან, შიდა სვლაგეზებს ვგულისხმობ და მაინტერესებს თუ იგეგმება დამატებით „მარშუტკების“ ან შიდა სვლაგეზების დამატება. როგორც მითხრა ბატონმა ირაკლიმ, დიდი ავტობუსები ვერ ახერხებენ შიდა სვლაგეზების განხორციელებას. მაინტერესებს რა იგეგმება ან კერძო კომპანიებთან ხომ არ არის მოლაპარაკება.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი, ბატონი **ი.ხახალეიშვილი:** „როდესაც შევიძინეთ 60 ერთეული ავტობუსი, ამას თან ახლდა საექსპერტო კვლევა და მომსახურება, რომელსაც მუნიციპალური განვითარების ფონდი ახორციელებს თითოეულ ქალაქში. ჩვენ, აპრილის ბოლოს ველოდებით საერთაშორისო კომპანიის

საექსპერტო დასკვნებს როგორც სვლაგეზებთან, ასევე, სატრანსპორტო პოლიტიკასთან დაკავშირებით. ეს იქნება დასკვნა, რომელიც საშუალებას მოგვცემს განვსაზღვროთ ახალი სვლაგეზები. გეთანხმებით, რომ კერძო გადამზიდავების გასვლამ ბაზრიდან გამოიწვია შეფერხებები და გარკვეული უსიამოვნებები. ჩვენ შევეცდებით აღნიშნული პრობლემები იქნეს აღმოფხვრილი, ამიტომ ველოდებით დასკვნას და კერძო გადამზიდებთან ერთად, რომლებიც დარჩებიან ბაზარზე, მაქსიმალურად მოვახდენთ ქალაქის დაფარვას. საგრანტო კონკურსის ფარგლებში ჩვენ შევიძინეთ 10 მიკროავტობუსი, რამაც მოგვცა სერიოზული შეღავათი ქალაქის რთულად მისადგომი ადგილების დაფარვაში. გვაქვს სურვილი დამატებით, რამდენიმე ერთეული მიკროავტობუსის შეძენის. ჩვენი ავტოპარკის გაზრდა გარდაუვალია, რათა სრულად დავფაროთ ქალაქი. დღეის მდგომარეობით, ამისათვის გვჭირდება 130 ერთეული სატრანსპორტო საშუალება.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის მოადგილე, ბატონი **ზ.მამასახლისი:** „მათ შორის რამდენი უნდა იყოს მიკროავტობუსი?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი, ბატონი **ი.ხახალეიშვილი:** „ერთეულის რაოდენობაა განსაზღვრული, მათ შორის შეიძლება იყოს მიკროავტობუსიც და ავტობუსიც, მოთხოვნისა და საჭიროების შესაბამისად, მას შემდეგ რაც გვექნება დასკვნა.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „მე ძალიან კარგად მახსოვს ის პერიოდი, როდესაც ჩვენ აქტიურად დავიწყეთ მსჯელობა მუნიციპალურ ტრანსპორტზე და ასევე, ის მდგომარეობა, რომელშიც ჩვენ დეპუტატები აღმოვჩნდით მოქალაქეებთან შეხვედრისას. ის მდგომარეობა, რომელიც იყო მუნიციპალური ტრანსპორტის შემოსვლამდე, იყო ერთი დიდი კრიტიკული ნაწილი ჩვენი ქალაქის რეალობაში და ის სერვისი, რასაც მაშინ ადგილობრივი თვითმმართველობა გვთავაზობდა, კრიტიკას ვერ უძლებდა, მათ შორის მომსახურების ხარისხი. აღარ ვსაუბრობ ავტობუსების ხანდაზმულობასა და მდგომარეობაზე. ჩვენ, როდესაც ამაზე დავიწყეთ საუბარი, პირველი რაც იქნა არჩეული

პრიორიტეტად, იყო მოსახლეობისთვის გამართული მომსახურების მიწოდება და ყველაზე მთავარი გახლდათ უსაფრთხო სერვისის მიწოდება. ჩვენ ძალიან კარგად გვესმოდა, რომ არსებული სერვისის პირობებში, ადგილობრივ თვითმმართველობას მოუწევდა გარკვეული თანხის სუბსიდირება მუნიციპალურ ტრანსპორტში და ეს თანხა არ იქნებოდა მინიმალური მაჩვენებლის. მაშინაც მზად ვიყავით, რომ მომხდარიყო მუნიციპალური ტრანსპორტის სუბსიდირება. ჩვენ, გუშინ, ჩავატარეთ კომისიის სხდომა და ვნახეთ ამ პირობებში, როგორ მომდინარეობს მუშაობა, ოპერირება და ვხედავთ, რომ საკმაოდ გამართული სისტემა შეიქმნა. სუბსიდირებისთვის დღესაც, ჩვენ გარკვეულ თანხას ვიღებთ ბიუჯეტიდან. დამეთანხმებით ალბათ, რომ ის თანხა, რომელიც იდება სუბსიდირებაში, არის მოქალაქეების მიერ გადახდილი თანხა და მათ ეკუთვნით. რაც შეეხება იმ ტარიფს, რომელიც დღეს გვაქვს. ეს არის მინიმალური მოცემულობა. საუბარი იყო სხვა ტარიფზე, მაგრამ ერთობლივი შრომით, დასაბუთებული არგუმენტირებით მივედით ამ ტარიფამდე. საკმაოდ რთულია და მტკივნეულიც შეიძლება იყოს კონკრეტული მოქალაქისთვის აღნიშნული გადაწყვეტილება, მაგრამ როდესაც ჩვენ ვირჩევთ გამართულ სერვისს, რომლითაც უნდა ისარგებლოს და უკვე სარგებლობენ მოქალაქეები, სუბსიდირების შემთხვევაშიც კი მოქალაქე იხდის გარკვეულ თანხას, მაგრამ მთავარია ის, რომ ჩვენ სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში გარკვეულ ჯგუფებზე დავაწესეთ შეღავათები და ამ შეღავათით სარგებლობს დაახლოებით 30 ათასი პირი. სხვადასხვა ჯგუფები სარგებლობენ ამ შეღავათებით, ან ნულოვანი ტარიფით. ესეც ჩვენი პასუხისმგებლობაა და მაშინ პოლიტიკური გადაწყვეტილება იყო. მე ვფიქრობ, როცა ვეხებით სატრანსპორტო პოლიტიკას, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ გვქონდეს ყველა მიმართულებით გამართული პოლიტიკა. ეს ეხება, როგორც ბატონმა იოსებმა ბრძანა, კვლევებზე დაყრდნობით ჩამოყალიბებულ სვლაგეზებს, გადასახადების ნაწილს, იმ სერვისცენტრების გაუმჯობესებას, რომელიც უნდა არსებობდეს ტრანსპორტის მართვის დონეზე და ასევე ავტოპარკის განახლებას, რომელზეც ჩვენ ვიზრუნებთ. ეს არის ის პოლიტიკა, რომელიც ჩვენ გაგვაჩნია სატრანსპორტო პოლიტიკის ფარგლებში. მადლობა ქალაქის მერს აღნიშნულ საკითხში აქტიური ჩართულობისთვის.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი, ბატონი **ი.ხახალეიშვილი:** „ქუთაისი არის ურბანული განვითარების ფონდის გამარჯვებული ქალაქი და მიმდინარე წლის ბოლოსთვის ქუთაისს ეყოლება ორი ელექტრო ავტობუსი, რომელიც გადაეცემა ჩვენს მუნიციპალურ სატრანსპორტო კომპანიას და ის მოემსახურება აღმაშენებლის აეროპორტში და რკინიგზის სადგურზე ხალხის გადაყვანას. ეს ხელს შეუწყობს მგზავრთა ნაკადის ხარისხიან მომსახურებას ქალაქიდან აღმაშენებლის აეროპორტამდე.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 19-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: გრ.შუშანია, გ.კილაძე, ხ.არველაძე, ლ.შალამბერიძე, ნ.ბიბილეიშვილი, დ.ბახტაძე, გ.მანაგაძე, ქ.ხურციძე, კ.გაბუნია, რ.ქვაჩაკიძე, თ.მესხი, დ.ფხაკაძე, ა.კოხრეიძე, ნ.ჩიკვაშვილი, კ.გურული.

ღია კენჭისყრით (მომხრე: 18 წევრი, კენჭისყრაში არ მიიღო მონაწილეობა 1-მა წევრმა, ქალბატონმა ე.არჩაიამ), **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის მეორე საკითხზე მიღებულ იქნეს **დადგენილება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელის, **ვალერი სილაგაძის** მიერ წარმოდგენილი რედაქციით.

(„ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის M_2 და M_3 კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებების მარშრუტებზე მგზავრობის ტარიფის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 მარტის №169 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ **განკარგულება N58** ოქმს თან ერთვის)

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის მე-3 საკითხის - **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „პარკინგსერვისისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით,**

უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 თებერვლის №149 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

ზემოაღნიშნულ საკითხზე **განკარგულების** პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელმა, ბატონმა **ვალერიან სილაგაძემ.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

განკარგულების პროექტის შესახებ საკრებულოს წევრთა მიერ მოსაზრებები არ გამოთქმულა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ დღის წესრიგის მესამე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 19-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: გრ.შუშანია, გ.კილაძე, ხ.არველაძე, ლ.შალამბერიძე, ნ.ბიბილეიშვილი, დ.ბახტაძე, გ.მანაგაძე, ქ.ხურციძე, კ.გაბუნია, რ.ქვაჩაკიძე, თ.მესხი, დ.ფხაკაძე, ა.კოხრეიძე, ნ.ჩიკვაშვილი, კ.გურული.

ღია კენჭისყრით, ერთხმად, **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის მესამე საკითხზე მიღებულ იქნეს **განკარგულება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელის, **ვალერი სილაგაძის** მიერ წარმოდგენილი რედაქციით.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „პარკინგსერვისისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით,

სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 თებერვლის №149 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ **განკარგულება N165** ოქმს თან ერთვის)

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე მე-7 სხდომის დღის წესრიგით განსაზღვრული საკითხების განხილვის დამთავრებისა და მათთან დაკავშირებით, შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღების დასრულების შემდეგ, საკრებულოს რიგგარეშე მე-7 სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ამით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე მე-7 სხდომამ მუშაობა დაამთავრა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარე Irakli Shengelia Digitally signed by Irakli Shengelia DN: cn=Irakli Shengelia, serialNumber=PNOGE-60001013166, givenName=Irakli, sn=Shengelia, o=Citizen, c=GE Date: 2023.06.22 11:50:23 +04'00' ირაკლი შენგელია

ოქმი შედგენილია საკრებულოს აპარატის მეორადი
სტრუქტურული ერთეულის - სამდივნო განყოფილების
პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის, ნ.გუგავასა
და ამ განყოფილების უფროსის, ც.პატარიძის მიერ.